

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შექმნის, შემადგენლობის განსაზღვრისა და კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შექმნის, შემადგენლობის განსაზღვრისა და კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივლისის №02 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლში მ/წლის 16 მაისს შეტანილი დამატებით, რომლის თანახმადაც, კომიტეტების შემადგენლობაში, კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებში ცვლილებების განხორციელება ხდება უმაღლესი საბჭოს მიერ შესაბამის დადგენილებაში ცვლილებების შეტანით.

როგორც ცნობილია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში 16 მაისს განხორციელებულ ცვლილებებამდე კომიტეტების შემადგენლობასა და კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებში ცვლილებების განხორციელება ხდებოდა უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შექმნის, შემადგენლობის განსაზღვრისა და კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივლისის №02 დადგენილების არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

დადგენილების პროექტის ავტორი და ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.